ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №405

(საქონლის შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი 30 ნოემბერი 2011 წელი

1.ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (თვითმმართველი ერთეული) შემდეგში „შემსყიდველი", თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ივანე საღინაძის სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე ნონა ხარჩილავას სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „შემსყიდველი", თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 ნოემბრის №390 ბრძანების საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოსთვის ყიდულობს, ხოლო „მიმწოდებელი" ყიდის 1 (ერთი) ერთეულ მობილურ ტელეფონს („ნოკია") (შემდეგში „საქონელი").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება - 1 (ერთი) ერთეული მობილური ტელეფონი („ნოკია");
2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.
2.3 სატენდერო განცხადების ნომერი - SPA110029671 (ტენდერი არ შედგა).

2.4 შესყიდვის კატეგორია –32200000-რადიო-ტელეფონის, რადიო-ტელეგრაფის, რადიო-მაუწყებლობის და სატელევიზიო გადამცემი აპარატურა
კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 32250000 - მობილური ტელეფონები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 1 (ერთი) ერთეული მობილური ტელეფონის („ნოკია") ღირებულება შეადგენს **200.00 (ორასი) ლარს** (იხ.დანართი №1), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:
- საქონლის მიწოდება დაიწყება- 2011 წლის 30 ნოემბერს.
- საქონლის მიწოდება დამთავრდება - 2011 წლის 5 დეკემბერს.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5.2 შესყიდვის ობიექტის გარანტია არანაკლებ 1 წელი.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 დეკემბრამდე.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური; თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.

10.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – თვითმმართველ ქალაქ ფოთის საკრებულოში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი''	,,მიმწოდებელი''
თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული)	ინდივიდუალური მეწარმე
თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე	
ივანე საღინაძე	ნონა ხარჩილავა
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№-12 სს ,,ლიბერთი ბანკი'' ფოთის ფილიალი	მის: ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის ქ. სავაჭრო ცენტრი №3 იურიდიული მის: ქ. ფოთი. ლ.ასათიანის ქ.№53 სს ,,თიბისი ბანკი'' ფოთის ფილიალი
ა/ა GE 94LB0120125805505000 ბ/კ LBRTGE22 ს/კ № 215138143	ა/ა 90736010100002 ბ/კ TBCBGE22 ს/კ № 42001030023

საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი

N	დასახელება	მახასიათებელი	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	მობილური ტელეფონი	2G ქსელი: GSM 850/900/1800/1900. 3G ქსელი:UMTS 900/ 2100/ 1900. გამოშვების წელი: არანაკლებ 2010 წელი. დისპლეი: TFT 256K გაფართოება:240x320. ფლეერი:MP3/eAAC+/WAV/WMA. რადიო. კამერა: არანაკლებ 3.15MP 204x1536. მეხსიერების ბარათი: mocroSD(მაქს. 16 GB) შიდა მეხსიერება: არანაკლებ 45 MB. ლოდინის დრო: არანაკლებ 370 სთ. სალაპარაკო დრო: არანაკლებ 5 სთ. GPRS: არანაკლებ Class 32. EDGE: არანაკლებ Class 32. 3G: არანაკლებ 384kbps. Bluetooth: არანაკლებ v2.1with A2DP. Browser: არანაკლებ WAP2.0/xHTML, HTML გარანტია მინიმუმ 1 წელი.	ჩინეთი	1	200	200	2011 წლის 30 ნოემბრიდან 2011 წლის 5 დეკემბრამდე	თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულო

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე საღინაძე

„მიმწოდებელი"

ინდივიდუალური მეწარმე

ნონა ხარჩილავა